**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის "გუნდი ფენიქსი"-ს მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარების ხელშეწყობა და გაუმჯობესება, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, ვაჟებს შორის. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. აგრეთვე საქართველოს მასშტაბით და მის საზღვრებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნირებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდების კანდიდატების მომზადება. სპორტული ღონისძიებათა კალენდარის შემუშავებითა და შესრულებით

სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა. ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.

#### **4.1.2.7 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი" (პროგრამული კოდი 05 01 02 07)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** "საჭიდაო კლუბი ფალავანი"-ს ძირითადი მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის შესწავლაში, აგრეთვე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ნაკრები გუნდებისათვის რეზერვების მომზადება, საწრთვნელი პროცესის ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური და საწრთვნელი ბაზის შექმნა, სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მსოფლიოს, ევროპის პრიზიორებსა და ჩემპიონებს ჭაბუკებში, ახალგაზრდებსა და დიდებს შორის წარმატებული სპორტსმენების წახალისების მიზნით სტიპენდიის გაცემას.

#### **4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

##### **4.2.1 სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 01)**

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** სკოლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ-კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეთა გამოვლენას, მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი მუსიკალური სკოლები:

- ააიპ დომენტი შანიძის სახელობის N 1 სახელოვნებო სკოლა
- ააიპ N2 სამუსიკო სკოლა;
- ააიპ სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა
- ააიპ გომის თემის სამუსიკო სკოლა
- ააიპ სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა
- ააიპ დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა
- ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა

##### **4.2.1.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, როგორცაა საფორტეპიანო, ვიოლინო, ჩელო, ფლეიტა, საყვირი, ხალხური საკრავები, საესტრადო. ირიცხება 214 მოსწავლე, მათ შორის 157 გოგონა და 57 ვაჟი.

##### **4.2.1.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე, მათ შორის 45 ვაჟი და 85 გოგონა.

##### **4.2.1.3 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 03)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 52 მოსწავლე.

**4.2.1.4 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 04)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები სკოლაში ირიცხება 85 მოსწავლე, მათ შორის 17 ვაჟი და 68 გოგინა.

**4.2.1.5 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 05)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 114 მოსწავლე, მათ შორის 80 გოგო და 34 ვაჟი.

**4.2.1.6 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 06)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 73 მოსწავლე, მათ შორის გოგო - 50 და ვაჟი - 23.

**4.2.1.7 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა (პროგრამული კოდი 05 02 01 07)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას ძირითადი მიზანია პირობები შეუქმნას სამტრედიაში მოღვაწე მხატვრებს თავიანთი შემოქმედების წარმოსაჩვენად. ამავე დროს მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, აზიაროს ხატვის ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე. მხატვართა დაინტერესებისა და სტიმულირებისთვის მოეწყოს გამოფენა-გაყიდვები. სამხატვრო სკოლა-გალერეას ამოცანა ხელოვანთა შემოქმედების პროპაგანდაა. განახლდება გალერეაში არსებული ფერწერული ტილოების ფონდი, რაც გულისხმობს თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების შექმნას და ამავდროულად, ფონდში დღემდე დაცული რამდენიმე ფერწერული ტილოს აღდგენა-რესტავრაციას.

**4.2.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კულტურულ-შემეცნებითი, საგანმანათლებლო მოღვაწეობის, დასვენებისა და გართობის უზრუნველყოფა, ახალი თაობის აღზრდა სახელოვნებო სფეროში; თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური საქმიანობის ხელშეწყობა; სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება; თანამშრომლობა ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

**4.2.3 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 04)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ აერთიანებს 10 ბიბლიოთეკას, რომელიც ემსახურება 6689 მკითხველს. იგი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა. საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობს საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის მიმართულებით. მიზანია მოსახლეობის მომსახურება საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული სადამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.

#### **4.3 შპს ” სამტრედიის მაცნე ” (პროგრამული კოდი 05 03)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. შპს ” სამტრედიის მაცნე ” მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას. გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ ორიენტირებულია გამოხატოს საზოგადოებრივი ინტერესი, გააშუქოს საზოგადოების საჭირობო საკითხები, იყოს ობიექტური და მკითხველამდე სწორად მიიტანოს არსებული მდგომარეობა.

#### **4.4 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საინფორმაციო ცენტრი" (პროგრამული კოდი 05 04)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილ ოფიციალურ ვებ. გვერდზე ([www.samtredia.com.ge](http://www.samtredia.com.ge)) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.

#### **4.5 ახალგაზრდული ორგანიზაციების კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

##### **4.5.1 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 01)**

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** პროგრამა ითვალისწინებს, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების დაფინანსებას. ახალგაზრდების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით მათ დაფინანსებას, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული გრანტის მფლობელთა წახალისებას; სხვადასხვა ტიპის სასწავლებლების წარჩინებულ სტუდენტთათვის ფინანსური დახმარების გაწევას. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება-დაფინანსებას, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება-დაფინანსებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, ასევე ქვეპროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი ინიციატივებისა და სხვადასხვა პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენას, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობას.

#### 4.5.2 კულტურის ძეგლთა დაცვის და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 02)

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ფესტივალებში, გამოფენებში, კონკურსებში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობას, კულტურული პროექტების თანადაფინანსებას, წარმატებული, ღვაწლმოსილი, დამსახურებული ადამიანების წახალისება დაჯილდოებას, წარმოჩენას. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღმნიშვნელი საინფორმაციო ნიშნულების დამზადებას, სამტრედიის ღირშესანიშნაობების ამსახველი ბუკლეტების დამზადებას, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, გასვლითი ტურების ორგანიზებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საგამოფენო სტენდების დამზადებას. მუზეუმის პოპულარიზაციის კუთხით სხვადასხვა აქტივობების გამართვას, მუზეუმის საერთაშორისო დღის აღსანიშნავას, ღონისძიებებში ადგილობრივი საჯარო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, კულტურის ცენტრის, მუსიკალური და სახელოვნებო სკოლების შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების აქტიურ ჩართულობას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფას.

#### 4.6 ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 06)

**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

### 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

#### 5.1 ა(ა)იპ საზოგადოებრივი "ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი" (პროგრამული კოდი 06 01)

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

1. პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, დაავადებების კონტროლის პირველადი ღონისძიებები, ლაბორატორიული სინჯის აღება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა (მ.შ ტუბერკულოზის, შიდსის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების „B“, „C“ და სხვა ჰეპატიტების, ვაქცინაციით მართვადი დაავადებების ეპიდზედამხედველობა, მართვა, პრევენცია და კონტროლის ღონისძიებები.

2. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში, მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება, დაზუსტება, ვაქცინათა სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა, ვაქცინათა მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სამედიცინო დაწესებულებებზე, რომლებიც მონაწილეობენ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში დადგენილი წესის მიხედვით.

3. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისთვის „ცენტრიდან“ ტესტებისა და სახარჯი მასალების გაცემა, აგრეთვე, „B“ ჰეპატიტის იმუნიგლობულინის გადაცემა იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სამედიცინო მომსახურებას, სტრატეგიული შრატების, ანტირაბიული ვაქცინის და იმუნიგლობულინის მიღება-განაწილება.

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით, გადამტანების არსებობის და გავრცელების არეალის დადგენა სეზონის განმავლობაში.

5. პარაზიტული დაავადებების ეპიდკონტროლი და პროფილაქტიკა.

6. საგანმანათლებლო, სააღმშრდელო და საგანმანათლებლო-სააღმშრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

7. „C“ ჰეპატიტის, აივ-ინფექცია, შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა ითვალისწინებს პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების ჩართვას მოსახლეობის მასიური სკრინინგის უზრუნველყოფის მიზნით, დადებითი შემთხვევების კონფირმაციულ კვლევას და მკურნალობაში ჩართვას. 18 წლის ზემო ასაკის ყველა ბენეფიციარის სკრინინგულ კვლევებს, ვინც არ არის დასკრინული.

8. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება, არსებულ საფრთხეებზე რეაგირებისა და მზადყოფნის გაძლიერება მოიცავს: ა) სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებულ გადამდებ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება, დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის დაზუსტება, კორექტირება და შესაბამის ბაზებში (EIDSS, LIMS, LAB.COV) მონაცემთა შეყვანა და ანალიზი. ბ) სამოქმედო ტერიტორიაზე გამოვლენილი გადამდები დაავადებების ეპიდსიტუაციის მონიტორინგი და ანგარიშგება მოქმედი წესების შესაბამისად.

## **5.2 ა(ა)იპ სახლი "თანადგომა" (პროგრამული კოდი 06 02 01)**

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დახმარება ააიპ „სახლი თანადგომისათვის“ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. დღეს, როდესაც ქვეყანაში მრავლადაა გაჭირვებული ოჯახები, მოთხოვნის შესაბამისად შესაძლებლობის ფარგლებში ხდება სხვადასხვა ფორმით მატერიალური დახმარების გაწევა.

სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომლებსაც არ გააჩნიათ ფიზიკური შესაძლებლობა, არიან მარტოხელები, დავრდომილები, ინვალიდები, უსახლკარონი, ის პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას და არ გააჩნიათ ეკონომიკური შესაძლებლობა იმისთვის, რომ მთელი თვის განმავლობაში იკვებონ თავისი შემოსავლით, მათთვის ყოველდღიურად (გარდა კვირისა) სადილით უზრუნველყოფა (დღეში ერთხელ) უმწეოთა სასადილოში. ამ კატეგორიის მოქალაქეებზე გაიცემა 2-3 ცალი პური კვირაში ერთხელ. პური გაიცემა სულადობის მიხედვით.

ამ პროგრამის მოქმედებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხვრებ უმწეოთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება საარსებო საშუალებით. აგრეთვე, პროგრამაში ჩართულნი არიან სოციალური მუშაკები, რომლებიც ბინაზე მოემსახურებათ დავრდომილებსა და ღრმად მოხუცებულებს.

## **5.3 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების სახლი" (პროგრამული კოდი 06 02 02)**

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის მიზანია მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვებო-სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, დღე-ღამის განმავლობაში სამჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მედპერსონალისა და სანიტართა სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში. სათნოების სახლში ხშირად იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები. წოველ წელს მატულობს მნახველთა რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მობინადრეთა ცხოვრებით და მათი ჯანმრთელობით

## **5.4 დედათა და ბავშვთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)**

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

**ახალშობილთა დახმარება**

1. ერთჯერად 150 (ასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ პირველი და მეორე შვილი.



2. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-3 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 250 (ორასი) ლარის ოდენობით.
3. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-4 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 300 ლარის ოდენობით.
4. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-5 შვილი და მეტი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 450 ლარის ოდენობით.
5. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ტყუპები დაფინანსებას მიიღებენ თითოეულ შვილზე: პირველი და მეორე შვილისა და მეორე და მესამე შვილის შემდგომ შემთხვევაში 250 ლარს, მესამე და მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში 450 ლარს;
6. ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა, თუ ახალშობილი დაიბადა 2022 წლის 1 სექტემბრის შემდეგ და დახმარება არ აქვს აღებული.

**მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ( 4 ან მეტი შვილი 18 წლამდე )**

ფულადი დახმარება ითვალისწინებს მრავალშვილიან მშობლებისთვის ყოველთვიურ დახმარებას 30 ლარი თითოეულ ბავშვზე).

**5.5 სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)**

**პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს:**

**1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება**

1. მოქალაქეთა სამედიცინო დაფინანსება - მოქალაქე, რომელიც დაავადებულია გულსისხლძარღვთა დაავადებით, ონკოლოგიური დაავადებით, გინეკოლოგიური დაავადებით და ასევე სხვა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებით და საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას, ქიმიოთერაპიას, კოქსართროზი, გონართროზი, ანევრიზმა, თრომბოფლემბიტი და ასევე სხვა დაავადებების ქირურგიული და კონსერვატიული მკურნალობა , სამკურნალო სარეაბილიტაციო პროცედურები;

ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმ და ომის ვეტერანები, 1.00 დან-500 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 100 %, 500-1000 ლარის ჩათვლით 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;

ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 დან 200000 ის ჩათვლით 1.00 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;

გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000 ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 100 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, არაუმეტეს 500 ლარის, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;

2. მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება - მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევებს, დიაგნოსტიკას, კომპიუტერულ კვლევას, მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას, PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია) კვლევას.

ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმ და ომის ვეტერანები, 1.00 დან -800 ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით.

ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 დან 200000 ის ჩათვლით 1.00 დან 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით.



გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000-ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 100 დან 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, მაქსიმუმ 300 ლარით 800 ლარის ზემოთ 400 ლარით.

დ) PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია)-კვლევა დაფინანსდება 500 ლარით;

## **2. მარტოხელა მშობლების დახმარება.**

1. ერთჯერად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა მშობლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სამოქალაქო რეესტრში. ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში მიიღებენ 150 ლარიან დახმარებას, ორი შვილის შემთხვევაში 200 ლარიან დახმარებას, სამი და მეტი შვილის შემთხვევაში 300 ლარიან დახმარებას (შვილის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 18 წელს)

## **3. სტუდენტების დახმარება**

1. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს 1 000 (ათასი) ლარით გაეწევთ დახმარება ერთჯერადად;

ა) დედ-მამით ობოლი ოჯახებიდან.

ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტიშვილიანი) ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65 000- ჩათ. სარეიტინგო ქულა.

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების დაფინანსება

2. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომელთაც აქვთ იშვიათი (საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 199/ნ 2001 წლის 14 მაისი, იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ) დაავადებები და სისტემატურად საჭიროებენ მკურნალობას, ასევე „ავთვისებიანი სიმსივნეები რომლებიც ვლინდება ახალგაზრდა ასაკში“ და ხანგრძლივად საჭიროებენ ექიმის მეთვალყურეობას, ყოველთვიურად გაეწევთ 400 ლარიანი დახმარება;

ა) დედ-მამით ობოლი ოჯახებიდან.

ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტიშვილიანი) სოციალურად დაუცველ ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65 000- ჩათ. სარეიტინგო ქულა.

დ) მარტოხელა მშობლების შვილები.

## **4. უდედმამო ბავშვების დახმარება**

მოსარგებლე 18 წლამდე ბავშვები, რომლებსაც გარდაეცვალა მშობლები, ან ბავშვები, რომელთა მშობლების ადგილსამყოფელი უცნობია და ზრდის მეურვე ან მზრუნველი:

1. უდედმამო ბავშვებზე 0-დან 18 წლის ჩათვლით დახმარება გაიცემა ყოველთვიურად, ყოველ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით.

## **5. ხანდაზმულთა დახმარება**

1. ერთჯერად, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დაფინანსებას მიიღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

**6. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება;**

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 300 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები.

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ პირები;

ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები;

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 200 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, მარჩენალ დაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, სხვა ომის მონაწილეები, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 200000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

**7. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;**

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება: ა) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.

ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

გ), მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი უკიდურესად შეჭირვებული ოჯახიდან გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურება.

**8. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება;**

.ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ფინანსური 200 ლარიანი დახმარება 26 აპრილს

**9. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება;**

ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ჰემოდიალიზზე მყოფი ბენეფიციარების დახმარებას თითოელისათვის 200 ლარი ყოველთვიურად;

**10. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით , დიაბეტით დაავადებულ და დაუნის სინდრომის ბავშვთა ფინანსური დახმარება.**

1. ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით;

2. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით;

3. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

დიაბეტით დაავადებულ ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

5. ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებები, ჰიპერალანინემია და სხვა იშვიათი(საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 199/ნ 2001 წლის 14 მაისი, იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ) (18 წლამდე) დაავადებების ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს აღნიშნული დაავადებით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.ს ოდენობით.

### **11. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება;**

ითვალისწინებს 2008 წელს გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრების ერთჯერადად დაფინანსებას- 1 000 ლარით;

### **12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება;**

1. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მხედველობა, სმენა დაქვეითებულ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

2. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს: ეპილეფსია, გონებრივი ჩამორჩენილობა (დაუზუსტებელი), მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც დაავადებულია ცეროზით-150 ლარის ოდენობით.

3. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ასევე ფსიქონერვული და შიზოფრენიით დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, 100 ლარის ოდენობით;

4.ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს 18 წლამდე 200 ლარის ოდენობით;

5.ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით და დაუნის სინდრომით დაავადებულ 18 წლის ზემოთ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

6. ონკოლოგიური სენით (III და IV სტადია) დაავადებული მოქალაქეები ერთჯერადად დაფინანსდება 200 ლარით.

### **13. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში;**

1. მოქალაქეები, რომლებიც არიან მარტოხელები, ფსიქიურად დაავადებულები, შეჭირვებულები, არასაკენსიო ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არიან შრომისუნარონი მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ მოქალაქეებს კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე( ბინაზე ) ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება განესაზღვროთ მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500-5000 ლარი.

ა) დაეწვათ, კაპიტალური საცხოვრებელი სახლი მთლიანად, საყოფაცხოვრებო ნივთებით -5 000 ლარი.

ბ) დაეწვა საცხოვრებელი სახლის პირველი და მეორე სართული - 4 000 ლარი.

გ) დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული საყოფაცხოვრებო ნივთებით - 3 000 ლარი.

დ) დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული საყოფაცხოვრებო ნივთების გარეშე -2000 ლარი.

ე) დაეწვა დამხმარე ნაგებობა სადაც ცხოვრობს დღის განმავლობაში -1000 ლარი.

ვ) დაეწვა დამხმარე ნაგებობა სადაც არ ცხოვრობს - 500 ლარი.

ზ) დაეწვათ, საცხოვრებელი სახლი მთლიანად, საყოფაცხოვრებო ნივთებით -4 000 ლარი.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მცხოვრები, ოჯახები, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ქვეშ (ენგრევით საცხოვრებელი სახლი, საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას), უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად, ასევე მოქალაქეებს, რომლებიც არიან ჯანმრთელობის მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, დახმარების ოდენობა განისაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის მიერ. სიმძიმის მიხედვით 100-დან 1000 ლარის ჩათვლით:

ა) არის მარტოხელა, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, შშმპ, შეჭირვებული- 100 ლარი.

ბ) არის მარტოხელა, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, არა აქვს საკუთარი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში-150 ლარი.

გ) წარმოდენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100 -150 ლარი.

დ) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100, დაავადებულია რამოდენიმე ქრონიკული დაავადებით -200 ლარი.

ე) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100, აქვს უმძიმესი საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები-300 ლარი.

ვ) არის შშმ პირი, მრავლშვილიანი (3 და მეტი) ოჯახი, რომლებსაც არა აქვს საცხოვრებელი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში -500 ლარი.

ზ) ესაჭიროება საზღვარგარეთ მკურნალობა- 1000 ლარი.

თ) ენგრევით საცხოვრებელი სახლი, საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას - 500 ლარი. განსაკუთრებულ შემთხვევაში 1000 ლარი

#### **14. სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება**

-ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით, გაეწევთ სოციალურად დაუცველი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და ოჯახის წევრებს, რომელთა სარეინტიგო ქულა შეადგენს 0-200000-მდე

#### **15. წითელი ჯვრის თანადაფინანსება**

სოციალურად იზოლირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების უმწეობის (ხანდაზმულები 60 წლის ზემოთ და ახალგაზრდები 15-27 წლამდე) შემცირებისა და ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი რესურსების გამოყენება მათი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაძლიერების, განვითარების, საკუთარი ღირსებისა და თვითდაჯერებულობის გრძნობების ამაღლების მიზნით მათი ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში.

#### **16. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა.**

1, დღის ცენტრის კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. 2023 წლის განმავლობაში თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტრო ენერჯია, გაზი, წყალი ) და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება, ორგანიზაციის მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე თანხა ჩაირიცხება მათ ანგარიშზე. თანხა თვეში არაუმეტეს 1 050 ლარისა.

17. სამკერვალო საწარმო „გვირილა“-ში დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით.

18. სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯები;

19. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები

20. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირის გადასახადი .

განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა 100 ლარის ოდენობით.

21. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია

1. აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს 2020 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით ქალაქ სამტრედიის რეგისტრირებული და მცხოვრები 2-15 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0-F84.9) ყოველთვიურ დახმარებას 300 ლარის ოდენობით;

**22 მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება.**

1. ბავშვთა მიმართ გამოვლენილი ძალადობა, რომლებიც მოქმედებს ბავშვის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე - 200 ლარი.
2. ქალთა და მამაკაცთა მიმართ გამოვლენილი ძალადობა. ოჯახის წევრებს შორის გამოვლენილი ძალადობა - 200 ლარი.
3. უკიდურესად სიღარიბეში ყოფნა. ოჯახის წევრების უუნარობა, საკვების, პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების უქონლობა. უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნა. ხანდაზმულობა (თანადგომის ქსელის არ ყოფნა) - 200 ლარი.

23 ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება.

1. პროგრამა ითვალისწინებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახლადშექმნილი ოჯახების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას. პროგრამით ისარგებლებს ახალდაქორწინებული წყვილი, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც ქორწინების რეგისტრაციისათვის ირიცხებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 120000-ს და შეეძინათ პირველი შვილი საკრებულოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, მიიღებენ ერთჯერადად 500 (ხუთას) ლარს;

**24 ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა.**

ქვეპროგრამა: ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა ბიუჯეტი - 10 000 ლარი

პროგრამის მიზანი: კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების მხარდაჭერა ამოცანები: ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში შემოსული განცხადებების განხილვა. ბავშვისა და ოჯახის შეფასება. ბავშვის/ბავშვების საჭიროების დადგენა. გრძელვადიანი ან მოკლევადიანი გეგმის დაწერა, საჭიროების შემთხვევაში შემთხვევის გადამისამარება შესაბამის უწყებაში, დამხმარე სერვისებში პრობლემის აღმოფხვრისა და ოჯახის გაძლიერების მიზნით. ოჯახის წინაშე არსებული სირთულეების დაძლევაზე მუშაობა. სამიზნე ჯგუფი: ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომელთაც დაუდგათ მძიმე კრიზისული მდგომარეობა ან საჭიროებენ მხარდაჭერას დროის უმოკლეს პერიოდში, შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე. დახმარება გაიცემა მატერიალური, ფულადი ან/და ადამიანური რესურსების გამოყენებით. ჩართვის კრიტერიუმები: 1. სოციალურად დაუცველი ოჯახები 2. მშობლის /მშობლების /მეურვის/მარჩენალის გარდაცვალება. 3. ოჯახის შემოსავლის წყაროს დაკარგვა(მშობელმა/მშობლებმა დაკარგეს სამსახური). 4. ბავშვის /ბავშვების/ მშობლის/მშობლების ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება. 5. ოჯახს მოეხსნა სოციალური დახმარება და ოჯახი აღმოჩნდა ეკონომიკური კრიზისის წინაშე. 6. სტიქია (საცხოვრებლის დაკარგვა და არ აქვს ალტერნატიული ფართი). 7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი სოციალურად

დაუცველის ოჯახიდან. 8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველის ოჯახიდან. 9. ძალადობის მსხვერპლი მშობელი 10. მარტოხელა მშობელი.

**5.6 დაკრძალვის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 05)**

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის თანხა მ.შ. ტრანსფერით 0.3 ათასი ლარი. ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, სხვა ომის მონაწილეთა და მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯი 250 ლარის ოდენობით.

**5.7 მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით (პროგრამული კოდი 06 02 06)**

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 1000 (ათასი) ლარიან ფულად სოციალურ დახმარებას და ასევე 200 ლარიან სასაქონლო ფორმით დახმარებას მიიღებენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები (9 მაისის დღესასწაულზე).

**თავი III**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები**

**მუხლი 18. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

ორბ. კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2021 წლის ფაქტი		2022 წლის გეგმა		2023 წლის გეგმა			
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფ	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები
		სულ							

			ტრანს ფერებ ი			ერები			ტრანს ფერებ ი	
	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	22,366.3	6,637.0	15,729.3	36,137.2	13,571.0	22,566.2	22,181.0	230.0	21,951.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1,163.0	9.0	1,154.0	1,194.0	9.0	1,185.0	1,194.0	9.0	1,185.0
	ხარჯები	12,465.4	563.7	11,901.7	18,297.9	1,924.6	16,373.3	18,289.7	230.0	18,059.7
	შრომის ანაზღაურება	2,131.7	87.6	2,044.1	3,061.3	112.9	2,948.4	3,953.0	126.7	3,826.3
	საქონელი და მომსახურება	1,735.8	335.9	1,399.9	2,853.9	702.9	2,151.0	1,781.4	0.0	1,781.4
	პროცენტი	41.6	0.0	41.6	35.2	0.0	35.2	31.7	0.0	31.7
	სუბსიდიები	6,909.3	87.1	6,822.2	8,713.8	94.5	8,619.3	10,441.0	103.0	10,338.0
	გრანტები	14.0	0.0	14.0	138.2	0.0	138.2	25.1	0.0	25.1
	სოციალური უზრუნველყოფა	1,333.4	0.5	1,332.9	1,717.1	0.8	1,716.3	1,533.5	0.3	1,533.2
	სხვა ხარჯები	299.6	52.6	247.0	1,778.4	1,013.5	764.9	524.0	0.0	524.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,830.8	6,073.3	3,757.5	17,769.2	11,646.4	6,122.8	3,821.2	0.0	3,821.2
	ძირითადი აქტივები	9,830.8	6,073.3	3,757.5	17,769.2	11,646.4	6,122.8	3,821.2	0.0	3,821.2
	ვალდებულებების კლება	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1
	საშინაო კრედიტორები	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3,288.9	93.0	3,195.9	4,521.2	114.7	4,406.5	5,918.8	126.7	5,792.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	183.0	9.0	174.0	183.0	9.0	174.0	183.0	9.0	174.0
	ხარჯები	2,836.9	93.0	2,743.9	4,149.6	114.7	4,034.9	5,191.8	126.7	5,065.1
	შრომის ანაზღაურება	2,131.7	87.6	2,044.1	3,061.3	112.9	2,948.4	3,953.0	126.7	3,826.3
	საქონელი და მომსახურება	586.0	5.4	580.6	891.1	1.8	889.3	923.9	0.0	923.9
	პროცენტი	41.6	0.0	41.6	35.2	0.0	35.2	31.7	0.0	31.7
	გრანტები	0.0	0.0	0.0	3.1	0.0	3.1	3.1	0.0	3.1
	სოციალური უზრუნველყოფა	24.6	0.0	24.6	45.4	0.0	45.4	17.5	0.0	17.5
	სხვა ხარჯები	53.0	0.0	53.0	113.5	0.0	113.5	262.6	0.0	262.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	381.9	0.0	381.9	301.5	0.0	301.5	656.9	0.0	656.9
	ძირითადი აქტივები	381.9	0.0	381.9	301.5	0.0	301.5	656.9	0.0	656.9
	ვალდებულებების კლება	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1
	საშინაო კრედიტორები	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1	70.1	0.0	70.1

